

№ 05.02.19/1

5 02 2019

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის  
უფროსის ბატონ გალაქტიონ ბუაძეს

ბატონო გალაქტიონ,

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „ჯეუ გრუპი“-ს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N01.01.01/10/36 (ხელშეკრულების საგანი - ქ. თბილისში, თხინვალასა და ვარაზის ქუჩებიდან სოფ. აგარაკამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები).

ვინაიდან შპს „ჯეუ გრუპი“ რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „თეთრ სიაში“ წერილთან ერთად სს „არდი დაზღვევა“-დან წარმოგიდგენთ ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფას (საბანკო გარანტიას) 2,5%-ის ოდენობით ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5%-ისა.

დანართი: ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა NCPB/19-004300 – 1 ფურცელი;

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება - 1 ფურცელი;

პატივისცემით,

დირექტორი

ნინო კიკაბიძე







**ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)**

**№ CPB/19-004300 04.02.2019წ.**

ვის: ქ. თბილისის მერიას

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „ჯეუ გრუპ“-მა, ს/კ 205251537 (შემდეგ – „ მიმწოდებელი“) ქ. თბილისში, თბინვალასა და ვარაზის ქუჩებიდან სოფ. აგარაკამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებით (N01.01.01/10/36) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს უპირობო გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით,

**ვადასტურებთ, რომ:**

ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე: 25 980.01 (ოცდახუთი ათას ცხრაას ოთხმოცი ლარი და ერთი თეთრი) ლარზე და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია 04.02.2019 -დან 10.06.2019-ის ჩათვლით.



*[Handwritten signature]*

მაია ქაშუშაძე  
მომსახურებისა და მონიტორინგის  
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080142083785816

# 674

23 / თებერვალი /  
2016 წ.

შპს „ჯეუ გრუპის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 4 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯეუ გრუპის“ (ს/კ: 205251537) 2016 წლის 3 თებერვლის № 3.02.16/2 მომართვა (რეგისტრაციის № 944), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. 2016 წლის 22 თებერვალს შპს „ჯეუ გრუპმა“ წარმოადგინა 2016 წლის 22 თებერვლის № 22.02.16/1 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 1526), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2016 წლის 18 თებერვლის №806 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ჯეუ გრუპი“ (ს/კ: 205251537) 2016 წლის 24 თებერვალს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე